

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის  
2012 წლის 2 მარტის №18 ბრძანებით

**სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის  
სასწავლო პროგრამების განყოფილების დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში – სწავლების ცენტრი) სასწავლო პროგრამების განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) წარმოადგენს სწავლების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულს.

2. განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული სწავლების ცენტრის დებულების, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების, სწავლების ცენტრის შრომის შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.

**მუხლი 2. განყოფილების ფუნქციები**

განყოფილების ფუნქციებია:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში სწავლების მიზნობრივი სფეროებისა და მიმართულებების განსაზღვრა და დაგეგმვა;
- ბ) სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და პრინციპების შემუშავება;
- გ) სასწავლო სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო მასალებისა და მეთოდური ლიტერატურის შემუშავება და გამოსაცემად მომზადება;
- დ) სასწავლო კურსების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების (ტრენერებისა და ფასილიტატორების) საკადრო შერჩევის კოორდინაცია;
- ე) ტრენერებისა და ფასილიტატორების სასწავლო კურსის მომზადება, დაგეგმვა და განხორციელება;
- ვ) საარჩევნო პროცესში ჩართული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის (საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ამომრჩევლები და სხვა დაინტერესებული პირები) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

- ზ) სასწავლო პროცესის (ტრენინგები) მონიტორინგის განხორციელება;
- თ) სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და იმპლემენტაციის მიზნით თანამშრომლობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ი) სწავლების ცენტრის დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

### **მუხლი 3. განყოფილების შემადგენლობა**

1. განყოფილების შემადგენლობაში შედიან:
  - ა) განყოფილების უფროსი;
  - ბ) სპეციალისტი (III კატეგორია);
  - გ) სპეციალისტი (I კატეგორია).
2. განყოფილების უფროსი:
  - ა) ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების განყოფილების საქმიანობას და პასუხისმგებელია განყოფილების ფუნქციების შესრულებაზე;
  - ბ) ანგარიშვალდებულია სწავლების ცენტრის დირექტორის წინაშე;
  - გ) განყოფილების თანამშრომლებს უნაწილებს სამსახურებრივ დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;
  - დ) ხელს აწერს, ან ვიზირებას უკეთებს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
  - ე) კოორდინაციას უწევს განყოფილების ურთიერთობას სწავლების ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
  - ვ) მოთხოვნის შესაბამისად წარადგენს განყოფილების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
  - ზ) შუამდგომლობს სწავლების ცენტრის დირექტორის წინაშე განყოფილების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;
  - თ) წარუდგენს სწავლების ცენტრის დირექტორს წინადადებებს განყოფილების სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
  - ი) ასრულებს სწავლების ცენტრის დირექტორის სხვა დავალებებს.
3. სპეციალისტი (III კატეგორია):
  - ა) უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში სწავლების მიზნობრივი სფეროების, მიმართულებების განსაზღვრასა და სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვას;
  - ბ) უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის (საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ამომრჩევლები და სხვა დაინტერესებული პირები) სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
  - გ) უზრუნველყოფს ტრენინგებისა და ფასილიტატორების სასწავლო კურსის დაგეგმვას, მომზადებასა და განხორციელებას;
  - დ) შეიმუშავებს სასწავლო სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო მასალებსა და მეთოდურ ლიტერატურას არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის და ამზადებს მათ გამოსაცემად;

- ე) უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო მასალების ერთიანი ბაზის შექმნას;
- ვ) ასრულებს სწავლების ცენტრის დირექტორისა და განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს.
- 4. სპეციალისტი (I კატეგორია):
  - ა) უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებში მონაწილეთა მონაცემთა ბაზის შექმნა/განახლებას;
  - ბ) ახორციელებს მეთოდური სასწავლო მასალების მომზადების ტექნიკურ უზრუნველყოფას;
  - გ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების იმპლემენტაციის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
  - დ) ახორციელებს სასწავლო კურსების მიმდინარეობის მონიტორინგს;
  - ე) ასრულებს სწავლების ცენტრის დირექტორისა და განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს.

#### **მუხლი 4. დასკვნითი დებულება**

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით.